ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1558433

ნომერი: AR1260110

თარიღი : 22.10.2014

გაცემის თარიღი : 29.10.2014

გაცნობის თარიღი : 31.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ქვემო ალექსეევკა , საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგ. ექსპერიმენტული კომბინატის მიმდ.;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა ხახიაშვილი პ/ნ 01014001924
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 48 კორ. 8 ბ. 82

ორგანიზაცია:
- შპს ლაინ მედია კოდი: 206242797

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1382868
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.07.2014

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა2014 წლის 22 ოქტომბერს შემოსული AR1260110 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქი თბილისში, დასახლება ქვემო ალექსეევკა, საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგ. ექსპერიმენტული კომბინატის მიმდებარედ, შ.პ.ს. „ლაინ–მედია“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.022), საწყობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 15.10.2014 წლის

N ბ-12/14245763-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

"მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვოპირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. N57 დადგენილების 62-ე მუხლისპირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის თანახმად - "ქ. თბილისში(გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებულიმშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებსმშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთსუარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაშიმიღებაზე უარის თქმისშესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობისნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებულიმშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისიდასაშვებობისდადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებულისამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითიფორმით.

განხორციელებულიმშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითიდოკუმენტაცია. დადასტურებისწერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდადაერთოს ამ დადგენილებითგანსაზღვრულისამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს;"

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახური ადასტურებს ქალაქი თბილისში, დასახლება ქვემო ალექსეევკა, საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგ. ექსპერიმენტული კომბინატის მიმდებარედ, შ.პ.ს. „ლაინ–მედია“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.022), საწყობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 15.10.2014 წლის N ბ-12/14245763-16 ბრძანებაში დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დასტური განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 11.07.2014 წლის N1382868 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.